საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 640/01
25/01/2022

640-01-2-202201251547

სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 29 დეკემბრის N24236 და 24 დეკემბრის N23932 სკრინინგის განცხადებები, რომლებიც ეხება სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას მიმდებარე ტერიტორიაზე 323280 მ^3 და 370680 მ^3 ღორღის (სასარგებლო წიაღისეულის) მოპოვებას.

მონაცემთა გადამოწმებით დგინდება, რომ 2021 წლის 12 ივლისს სამინისტროში წარმოდგენილი იყო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს N12163 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხებოდა სიღნაღის მუნიციპალიტეტში, სოფ. ანაგას ტერიტორიაზე 223312,5 მ^3 ღორღის (სასარგებლო წიაღისეული) მოპოვებას, რაზეც, 2021 წლის 9 აგვისტოს N 2-1216 ბრძანებით გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება და დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი shp-ფაილებისა და GPS კოორდინატების გადამოწმებით დგინდება, რომ ზემოაღნიშნული სკრინინგის განცხადებებით გათვალისწინებული საპროექტო ტერიტორიები ემთხვევა თქვენ მიერ 2021 წლის 12 ივლისს N12163 სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი ტერიტორიის ნაწილს, რომელზეც გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება. ამასთან, N24236 სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სალიცენზიო ტერიტორია წარმოდგენილია ერთ უბნად, ხოლო განცხადებას დართულ shp-ფაილებში მოცემულია ორი უბანი. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სასარგებლო წიაღისეულის (ღორღის) მოპოვებისთვის გათვალისწინებული ტერიტორიის ფართობები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044